

სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე მარეგულირებელი წესის (შემდგომში „წესი“) მიზანია განსაზღვროს სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“-ში (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის საკითხები, მსმენელის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, მსმენელის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
2. წესის მოქმედება ვრცელდება კოლეჯის თანამშრომელზე, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს (შემდგომში - პროგრამებს) და ყველა აპლიკანტზე, რომლებსაც მიენიჭათ მსმენელის სტატუსი.

მუხლი 2. აპლიკანტთა შერჩევა და მსმენელის სტატუსის მოპოვება

აპლიკანტთა შერჩევასთან და მსმენელის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორის მოადგილე, რომელსაც კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება.
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებას კოორდინირებას უწევს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, რომელიც ამზადებს/ინიცირებას უკეთებს ყველა შიდა დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს პროფესიულ მომზადება/პროფესიული გადამზადების პროცესს.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ჯგუფის ფორმირება რეგულირდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლის 4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შინაარსი

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა შეადგენს თეორიული მეცადინეობების, პრაქტიკული სამუშაოების და შეფასების ერთობლიობას.
2. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
 - 2.1 პროგრამის და ჯგუფის დასახელება.
 - 2.2 პროფესიული განათლების მასწავლებლის/ტრენერის სახელი და გვარი.
 - 2.3 ლექციის ჩატარების დრო.
 - 2.4 ლექციის ჩატარების ადგილი.

მუხლი 5. მსმენელის უფლებები და ვალდებულებები

- 5.1 მსმენელს უფლება აქვს:
 - 5.1.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება.
 - 5.1.2 ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
 - 5.1.3 მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება.

- 5.1.4 გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.
- 5.1.5 მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ.
- 5.1.6 კოლეჯის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.2 მსმენელი ვალდებულია:
 - 5.2.1 დაემორჩილოს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს და პროფესიული განათლების მასწავლებლის/ტრენერის ან სასწავლო პროცესში ჩართული სხვა უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს.
 - 5.2.2 მზრუნველობით მოეპყროს და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას.
 - 5.2.3 პატივი სცეს სხვა მსმენელის ღირსებას, არ დაუშვას მისი დაჩაგვრა ან რაიმე ქმედების იძულება.
 - 5.2.4 დაიცვას და პერიოდულად ეცნობოდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ კოლეჯის სამართლებრივ აქტებს.
 - 5.2.5 დროულად აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას მისამართის ან სხვა პირადი მონაცემის ცვლილების შესახებ.
- 5.3 მსმენელს ეკრძალება:
 - 5.3.1 ლექციის მიმდინარეობისას არასაპატიო მიზეზით აუდიტორიის დატოვება.
 - 5.3.2 ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება.
 - 5.3.3 კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის ხელმძღვანელობასთან, სალექციო პერიოდში საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება. აღნიშნული დარღვევები განიხილება ამ წესის დარღვევად და მიიღება შესაბამისი ზომები.
 - 5.3.4 მსმენელის მიერ დაწესებულებაზე მიყენებული ზიანის გამო, რომლის ბრალითაც გამოწვეულია ზარალი, მატერიალური პასუხისმგებლობა პირდაპირი ნამდვილი ზიანის ოდენობით ეკისრება მას, ხოლო არასრულწლოვანი მსმენელის შემთხვევაში - მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს.

მუხლი 6. მსმენელის მიერ ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის ვალდებულება

1. მსმენელი ვალდებულია პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს, პატივსა და ღირსებას.
2. მსმენელი ვალდებულია იზრუნოს ორგანიზაციის პრესტიჟის დაცვაზე და საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რაც გამოიხატება თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისადმი ყურადღებიან დამოკიდებულებაში.
3. მსმენელი ვალდებულია დაწესებულების და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიცვას სისუფთავე.
4. დაუშვებელია კოლეჯის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა.
5. დაწესებულების შენობაში თამბაქოს მოწევა აკრძალულია, გარდა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა/ადგილებისა.
6. დაუშვებელია დაწესებულებაში არაფხიზელ მდგომარეობაში ან რაიმე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება.

მუხლი 7. მსმენელის მიერ აღნიშნული წესის შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული სახდელები

1. მსმენელთა მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი ზომები:

- ა) შენიშვნა;
 - ბ) მსმენელის სტატუსის შეწყვეტა (გარიცხვა).
2. მსმენელის მიმართ სახდელის გამოყენების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს.
 3. ერთი სახდელისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ ერთი ზომა.

მუხლი 8. მსმენელის მიერ აღნიშნული წესის შეუსრულებლობის დადგენის წარმოება

1. წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
2. მსმენელის მიმართ აღნიშნული წესის შეუსრულებლობის დადგენის წარმოებას ახორციელებს კოლეჯის იურისტი/შესყიდვები.
3. საქმისწარმოების შემდგომ იწერება დასკვნა, სადაც მოყვანილია საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება. დასკვნა წარედგინება შემდგომი გადაწყვეტილების მიღებისათვის გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.
4. მსმენელის მიერ აღნიშნული წესის შეუსრულებლობის დადგენის წარმოებისას აუცილებელია გამოკითხულ იქნეს მსმენელი, ვის მიმართაც დაწყებულია წარმოება.

მუხლი 9. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთი:
 - ა) პროგრამის დასრულება;
 - ბ) სწავლის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ მსმენელის პირადი განცხადება;
 - გ) არადამაკმაყოფილებელი შეფასება.
 - დ) ამ წესის მე-5 და მე-6 მუხლით დადგენილი მსმენელის ვალდებულებებისა და აკრძალვების დარღვევა.
2. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

მუხლი 10. პროფესიული განათლების მასწავლებელი/ტრენერი და მისი უფლებამოსილებანი

- 10.1 პროფესიული განათლების მასწავლებელი/ტრენერი შეიძლება იყოს:
- 10.1.1 უმაღლესი განათლების ან/და პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი, ან/და შესაბამისი პროფილით საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე პირი.
 - 10.1.2 პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
 - 10.1.3 ამ მუხლის 1.1.; 1.2. ქვეპუნქტებში არსებული მოთხოვნებისაგან გამონაკლის შემთხვევას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
- 10.2 პროფესიული განათლების მასწავლებელმა/ტრენერმა აუცილებელია სათანადოდ დაიცვას:
- 10.2.1 კოლეჯის შინაგანაწესისა და ამ წესის მოთხოვნები.
 - 10.2.2 მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობები.
 - 10.2.3 ეთიკის ნორმები.
 - 10.2.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.
- 10.3 პროფესიული განათლების მასწავლებელი/ტრენერი ვალდებულია:
- 10.3.1 საკუთარი ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, დირექტორის გადაწყვეტილებით, გააგრძელოს მუშაობა დაწყებული სასწავლო პროგრამის დასრულებამდე.
 - 10.3.1 ლექციის დაწყებისთანავე დააფიქსიროს ხელმოწერა მსმენელების დასწრების ჟურნალში.

- 10.3.2 ყოველი ლექციის დაწყებისთანავე (სალექციო განრიგის მიხედვით) შეავსოს მსმენელთა დასწრების ჟურნალი.
- 10.3.3 ლექციის პერიოდში გააკონტროლოს და ზედამხედველობა გაუწიოს მსმენელთა ქმედებებს და ნებისმიერი უწყესრიგობის შემთხვევაში ოპერატიულად აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას.
- 10.3.4 მიიღოს ყველა გონივრული და სამართლებრივი ზომა, რათა აუდიტორიაში (კლასში, ჯგუფში) სასწავლო პროცესზე არ დაუშვას სხვა არაუფლებამოსილი პირი.
- 10.3.5 არ დაუშვას კოლეჯის სასწავლო პროცესის პოლიტიზირება.
- 10.3.6 მზრუნველობით მოეპყროს კოლეჯის ქონებას და მიიღოს ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად.
- 10.3.7 არ დაუშვას ლექციის გაცდენა/ჩაშლა.
- 10.3.8 კოლეჯზე მიყენებული ზიანის შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.
- 10.4 პროფესიული განათლების მასწავლებელს/ტრენერს უფლება აქვს:
 - 10.4.1 მოთხოვოს დამსაქმებელს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო.
 - 10.4.2 დროულად მიიღოს შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი შრომითი ანაზღაურება.

მუხლი 10¹ პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელება - სასწავლო პროცესის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და შემდგომი განხორციელების შესაძლებლობის განსაზღვრა.

- 10¹.1. პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელებაზე გადასვლას განაპირობებს კოლეჯის მისამართზე სასწავლო პროცესის ჩატარების შეუძლებლობა და ეყრდნობა ინსტიტუციურ მზაობას შემდეგი მიმართულებებით:
 - პროგრამა;
 - ადმინისტრირება;
 - პროფესიული განათლების მასწავლებლები/ტრენერები;
 - მსმენელები.
- 10¹.1.1 პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ინიცირებით, სასწავლო პროცესის წარმართვის, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობების (გარდა დასკვნითი შეფასებისა) დადგენით, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ტრენერების არგუმენტირებული მოსაზრებების საფუძველზე.
- 10¹.1.2 ადმინისტრირება გულისხმობს საჭირო ადამიანური რესურსის მობილიზებას როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზების, ასევე ტექნიკური გამართულობის საკითხებში. კერძოდ, შესაბამისი პერსონალის მიერ ხდება სალექციო გრაფიკისა და მსმენელების დასწრების აღრიცხვის კოორდინირება; ჩართვებისათვის შერჩეული პლატფორმის გამართულობის შემოწმება და ჩანაწერის უზრუნველყოფა.
- 10¹.1.3 პროფესიული განათლების მასწავლებლები/ტრენერები ახდენენ სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობებისა და ტექნიკური მხარდაჭერის შეფასებას, რისთვისაც სატესტო რეჟიმში იგეგმება და ტარდება ლექცია/ლექციები დისტანციური ფორმატით, რომელსაც ესწრებიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები. განხორციელების გაგრძელების ალბათობის დადგენის მიზნით, პროფესიული

განათლების მასწავლებლები/ტრენერები აკეთებენ ანალიზს როგორც პროცესის ეფექტურობის, ასევე ტექნიკური გამართულობის მიხედვით.

- 10¹.1.4 მსმენელების მზაობა გულისხმობს დისტანციურ რეჟიმში პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, სატესტო რეჟიმში განხორციელებულ ჩართვაში მონაწილეობას და სასწავლო პროცესის ეფექტურობის შეფასებას სპეციალური კითხვარის საშუალებით.
- 10¹.2 შესაბამისი კითხვარების შედეგების განხილვისა და მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე, მზაობის დადგენის შემთხვევაში, პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართება დისტანციურ რეჟიმში, რომელსაც კოორდინირებას უწევს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი და პერიოდულად ესწრებიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.
- 10¹.3 შესაბამისი კითხვარების შედეგების განხილვისა და მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე, რომელიმე ნაწილში სრული მზაობის არარსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის კოლეჯის მისამართზე განხორციელებას ასეთი შესაძლებლობების გაჩენისთანავე.
- 10¹.4 პროგრამაზე დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული სალექციო და შეფასების პროცესების შეფასების მიზნით, ადმინისტრაცია ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა/ტრენერებისა და მსმენელების სპეციალურ გამოკითხვებს:
 - 10¹.4.1 პროგრამის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების დაწყებიდან 5 სალექციო დღის შემდეგ, სასწავლო პროცესის ეფექტურობის შემოწმების მიზნით, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე განიხილება პროცესის შეწყვეტისა და გაგრძელების შესაძლებლობები;
 - 10¹.4.2 პროგრამის განხორციელების დასრულების ეტაპზე, პროცესის ეფექტიანობის შემოწმების მიზნით, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება დისტანციურ რეჟიმში განხორციელებული პროგრამის შეფასება და საჭიროებისამებრ იგეგმება პროცესის მართვის გაუმჯობესების მექანიზმები.
- 10¹.5 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დისტანციური რეჟიმით სწავლება შეადგენს თეორიული მეცადინეობების, პრაქტიკული სამუშაოების და შეფასების ერთობლიობას.
- 10¹.6 მსმენელი ვალდებულია:
 - 10¹.6.1 დისტანციური სწავლების მიმდინარეობისას იმყოფებოდეს ფხიზელ მდგომარეობაში და მთელი ყურადღება მიმართოს სასწავლო პროცესზე.
 - 10¹.6.2 ხელი შეუწყოს სალექციო პროცესის ნორმალურ ჩატარებას.
- 10¹.7 პროფესიული განათლების მასწავლებელი/ტრენერი ვალდებულია:
 - 10¹.7.1 ყოველი ლექციის დაწყებისთანავე (სალექციო განრიგის მიხედვით) შეავსოს მსმენელთა დასწრების ჟურნალი ელექტრონული ფორმით და ყოველი თვის და პროგრამის დასრულების შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია გააგზავნოს Info@itvet.ge-ზე.
- 10¹.8. პროფესიული განათლების მასწავლებელს/ტრენერს უფლება აქვს:
 - 10¹.8.1 სალექციო პროცესის მიმდინარეობისას მსმენელის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში, როდესაც მსმენელი ვერ ახერხებს სალექციო პროცესში ჩართვას ან მსმენელის იქცევა იმგვარად, რომ სალექციო პროცესის ნორმალური ჩატარება შეუძლებელია, პროფესიული განათლების მასწავლებელი/ტრენერი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის მსმენელს იმ კონკრეტულ დღეს შეუჩეროს სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში მსმენელს ეწერება „არა“.

მუხლი 11. შეფასების სისტემა და სერტიფიცირება

1. პროგრამის მიმდინარეობისას მსმენელები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით;

2. მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით ორჯერ: შუალედური და დასკვნითი შეფასება .
3. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ჯამური საათების ნახევრის ათვისების შემდეგ, შესაბამისი თემატიკის დასრულებისთანავე.
4. დასკვნითი შეფასება ტარდება პროგრამის დასრულებისთანავე.
5. შუალედური და დასკვნითი შეფასებაზე დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება მსმენელის მიერ თითოეულ შეფასებაზე 50-ზე მეტი ქულის მიღება.
6. მსმენელის გამოუცხადებლობის ან მსმენელის მიერ 50 და ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და მსმენელს აქვს განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება შდგის გაცნობიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
7. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.